



შპს „ეკო ოილი“

ქ. რუსთავში მეორადი ზეთის გადამუშავების საწარმოს
ექსპლუატაციის პირობების ცვლილების

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი

შპს „გამა კონსალტინგი“

დირექტორი

ზ. მაგალობლიშვილი

2018 წელი

სარჩევი

1	შესავალი	3
2	ექსპლუატაციის პირობების ცვლილების და საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა	4
2.1	ექსპლუატაციის პირობების ცვლილება	4
2.2	საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა	4
3	საწარმოს ძირითადი პარამეტრები და ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღწერა.....	9
3.1	ტექნოლოგიური სქემა.....	10
3.2	ტექნოლოგიური პროცესების აღწერა	10
3.3	საწარმოს წყალმომარაგება	14
4	ინფორმაცია საქმიანობის განსახორციელებელი ადგილის შესახებ - გარემოს ფონური მდგომარეობა და შესაძლო ზემოქმედების სახეების აღწერა	15
4.1	ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე.....	15
4.1.1	ემისიის გაანგარიშება საქვებიდან (გ-1)	16
4.1.2	ემისიის გაანგარიშება ნამუშევარი ზეთების მიღებისას (გ-2)	16
4.1.3	ემისიის გაანგარიშება მზა პროდუქციის მიღებისას (გ-3).....	17
4.1.4	ემისიის გაანგარიშება შუალედური პროდუქტის დიზელის ფრაქციის მიღებისას (გ-4) 18	
4.1.5	ემისიის გაანგარიშება შუალედური პროდუქტის ბითუმის ფრაქციის მიღებისას (გ-5) 19	
4.1.6	ტექნოლოგიური დანადგარების მუშაობისას არაორგანიზებული ემისიის გაანგარიშება (გ-6)	21
4.1.7	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები.....	22
4.1.8	გაბნევის ანგარიშის ჩატარება	22
4.1.9	მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მიღებული შედეგები და ანალიზი	23
4.2	ხმაურის გავრცელება	26
4.3	კუმულაციური ზემოქმედება	28
5	გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შედარებითი ანალიზი	28
6	მოკლე რეზიუმე	31
7	დანართი 1 - გაბნევის გაანგარიშების სრული ცხრილები	31

1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქ. რუსთავის საწარმოო ზონაში (დავით გარეჯის ქუჩა №28), შპს „ეკო ოილის“ მეორადი ზეთის გადამუშავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს.

შპს „ეკო ოილის“ საქმიანობაზე, 2019 წლის 16 აპრილის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-332 ბრძანების საფუძველზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, საწარმოში წლის განმავლობაში იგეგმება 4125 ტ ინდუსტრიული ზეთის გადამუშავება.

საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შპს „ეკო-ოილმა“, მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით, მიმართა ქ. რუსთავის მერიას. ქ. რუსთავის მერიის ინფორმაციით, საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს არა 470 მეტრში, როგორც გათვალისწინებული იყო გზშ-ს ანგარიშში, არამედ 200 მეტრში. შენობის მისამართია დავით გარეჯის ქუჩის N30. შენობა წარმოადგენს ქ. რუსთავის მერიის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, სადაც მერიის მიერ შესახლებულია რამდენიმე ოჯახი.

აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობა წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას და იწვევს საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და საჭიროებს საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას უახლოეს საცხოვრებელ სახლთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, შპს „ეკო ოილის“ მეორადი ზეთის გადამუშავების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით, მომზადდა სკრინინგის ანგარიში, რომელშიც, ახლად გამოვლენილი გარემოების გათვალისწინებით, ხელმეორედ შესრულდა ხმაურის გავრცელების და მავნე ნივთიერებების ემისიების ანგარიში, გარდა ამისა, განმეორებით იქნა დათვალიერებული და შესწავლილი საწარმოს მიმდებარედ არსებული ობიექტები და საცხოვრებელი სახლები.

საქმიანობის განმხორციელებელი და საკონსულტაციო კომპანიების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილი 1.1.

ცხრილი 1.1. საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	შპს „ეკო ოილი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ორთაჭალის ქ №27
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. რუსთავი, დავით გარეჯის ქუჩა №28
საქმიანობის სახე	მეორადი ზეთის გადამუშავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება.
შპს „ეკო ოილი“-ს საკონტაქტო მონაცემები:	
საიდენტიფიკაციო კოდი	406246566
ელექტრონული ფოსტა	sa@ecooil.ge
საკონტაქტო პირი	დირექტორი: რუსტამ ნურმამედოვი
საკონტაქტო ტელეფონი	599611676
საკონსულტაციო კომპანია:	
შპს „გამა კონსალტინგი“-ს დირექტორი	ზ. მგალობლიშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	2 60 44 33; 2 60 15 27

2 ექსპლუატაციის პირობების ცვლილების და საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა

2.1 ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ, შპს „ეკო-ოილი“, მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით, მიმართა ქ. რუსთავის მერიას. ქ. რუსთავის მერიის ინფორმაციით, საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს არა 470 მეტრში, როგორც გათვალისწინებული იყო გზშ-ს ანგარიშში, არამედ 200 მეტრში, რამაც წარმოშვა სკრინინგის პროცედურის გავლის საჭიროება.

საწარმოში უცვლელი რჩება:

- საწარმოს წარმადობა;
- ტექნოლოგიური დანადგარების ტიპები და რაოდენობა;
- გამოყენებული კატალიზატორის, კირის და მიღებული პროდუქციის რაოდენობა;
- ტექნოლოგიური ციკლი და ტექნოლოგიური პროცესების თანმიმდევრობა;
- ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების პირობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს გეგნ-გემა, ტექნოლოგიური ხაზი და ტექნოლოგიური პროცესები იქნება უცვლელი. (იხ. 2.1 1. ნახაზი).

2.2 საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა

შპს „ეკო ოილის“ ინდუსტრიული ზეთების გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავის სამრეწველო ზონაში (მისამართი: ქ. რუსთავი, დ. გარეჯის ქუჩა №28). 5577 მ² ფართობის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.07.02.673). ტერიტორია წარმოადგენს შპს „სანიტარი“-ს საკუთრებას და შპს „ეკო ოილს“, ნაკვეთით სარგებლობის უფლება იჯარის სახით აქვს დაგაცემული. საწარმოს ტერიტორიის GIS კოორდინატები მოცემულია 2.2.1. ცხრილში.

ცხრილი 2.2.1. საწარმოს განთავსების GIS კოორდინატები

N	X	Y
1.	502272	4599548
2.	502142	4599598
3.	502204	4599516
4.	502176	4599496
5.	502138	4599546
6.	502095	4599517

საწარმოში განსაზღვრულია 16 საათიანი, 2 ცვლიანი სამუშაო რეჟიმი. ექსპლუატაციის ეტაზე დასაქმებული იქნება 10 ადამიანი.

საწარმოს ელექტრომომარაგება განხორციელდება ელექტრომომარაგების არსებული ქსელიდან. ხოლო ბუნებრივი აირით მომარაგება - „სოკარ ჯორჯია გაზთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 200 მ მანძილზე, ხოლო შედარებით მჭიდროდ დასახლებული საცხოვრებელი ზონა - 470-500 მ მანძილის დაშორებით.

საწარმოს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება ივანე ჯავახიშვილის ქუჩა, სამხრეთ-დასავლეთით - დავით გარეჯის ქუჩა. დღეის მდგომარეობით, საწარმოს მიმდებარედ განთავსებულია ჯართის მიმღები ობიექტები. საწარმოს ტერიტორიიდან 500 მ რადიუსში არ ფისქირდება ანალოგიური პროფილის საწარმოების არსებობა.


საწარმოს ტერიტორია შემოღობილია ბეტონის კაპიტალური ღობით და დაცულია გარეშე პირების შეღწევისგან. ტერიტორიის ზედაპირი მთლიანად მოშანდაკებულია. საწარმოს ტერიტორიაზე, დღეის მდგომარეობით მომზადებულია ტექნოლოგიური დანადგარების განთავსებისთვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის ფსკერის არმატურა, ხოლო რეზერვუარების და ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების სამუშაოები დაიწყება მშენებლობის ნებართვის მიღების შემდგომ (იხ. სურათი 2.2.1).

საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის აუდიტის დროს, დავით გარეჯის ქუჩაზე, საწარმოდან 200 მ მანძილზე დაფიქსირდა შენობა-ნაგებობა, რომელიც დღეის მდგომარეობით გამოიყენება საცხოვრებლად, თუმცა, საჯარო რეესტრის მონაცემებით, შენობა-ნაგებობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას, ხოლო მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებული აღნიშნული შენობა-ნაგებობა, წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. საწარმოს განთავსების ტერიტორიის, საწარმოო და საცხოვრებელი ზონების, ასევე საცხოვრებლად გამოყენებული უახლოესი შენობის ურთიერთგანლაგების სიტუაციური რუკა იხილეთ 2.2.1. ნახაზზე.

სურათი 2.2.1. საწარმოს ტერიტორიის ფოტო მასალა არსებული მდგომარეობი



ნახაზი 2.1.1. საწარმოს გენ-გეგმა



ნახაზი 2.2.1. საწარმოს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა (დაცილება უახლოესი საცხოვრებელი სახლებიდან)



3 საწარმოს ძირითადი პარამეტრები და ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღწერა

საწარმოში, ტექნოლოგიური დანადგარები განთავსდება ე.წ. „სენდვიჩი-პანელებით“ მოწყობილ მსუბუქ კონსტრუქციაში, დღეის მდგომარეობით, უკვე მოწყობილია აღნიშნული კონსტრუქციის ფსკერის არმატურა.

როგორც გზშ-ს ანგარიშში იყო გათვალისწინებული, ნარჩენი და გადამუშავებული ზეთის განსათავსებლად, საწარმოში მოეწყობა 6 რეზერვუარი და მათი განთავსების მოედანი აღჭურვილი იქნება დაღვრის საწინააღმდეგო 0,4 მ სიმაღლის შემოზვინვით.

საწარმოს წარმადობა რჩება უცვლელი და წლის განმავლობაში გადამუშავდება 4125 ტ ინდუსტრიულ ზეთი. უცვლელი რჩება კატალიზატორების წლიური ხარჯი, რომელიც შეადგენს 206 ტონას და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა, რომელიც იქნება 3300 ტ/წელ.

ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული იქნება რეზერვუარებში ჩასატვირთვი 17 ერთეული ტუმბო სხვადასხვა მახასიათებლებით:

- გადასამუშავებელი ზეთების ჩატვირთვისთვის და რეზერვუარებიდან გადმოტვირთვისთვის გამოყენებული იქნება ორი ერთეული ტუმბო წარმადობით 9 მ³/სთ.
- ტექნოლოგიური ხაზის შიგნით გამოყენებული იქნება ორი ერთეული 25 მ³/სთ წარმადობის ტუმბო, სამი ერთეული 3,6 მ³/სთ წარმადობის ტუმბო და სამი ერთეული 5 მ³/სთ წარმადობის ტუმბო;
- გამაგრილებელი წყლის ცირკულაციისთვის გამოყენებული იქნება ორი ერთეული 5 მ³/სთ და ერთი ერთეული 20 მ³/სთ წარმადობის ტუმბოები.
- დამუშავებული ზეთის მიღებისთვის გამოიყენება 15 მ³/სთ წარმადობის ერთი ერთეული ტუმბო.
- გარდა ამისა, ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული იქნება ორი ერთეული 20 მ³/სთ წარმადობის ტუმბო და ერთი 1 მ³/სთ წარმადობის ტუმბო;
- ცხელი ბიტუმის გადმოტვირთვისთვის გამოყენებული იქნება ერთი ერთეული 6 მ³/სთ წარმადობის ტუმბო.

ტექნოლოგიაში გამოყენებული იქნება საქვაბე, რომელიც იმუშავებს ბუნებრივ აირზე. ბუნებრივი აირის მაქსიმალური ხარჯი იქნება 162 მ³/სთ. საკვამლე მილის პარამეტრებია: სიმაღლე - 13 მ; დიამეტრი - 450 მმ.


ტექნოლოგიური ციკლის ხანგრძლივობა 9-10 სთ გაგრძელდება. გარდა ამისა 3-4 საათი საჭიროა ტექნოლოგიური ციკლის მომზადებისთვის. დღე-ღამეში შესაძლებელია განხორციელდეს ორი ტექნოლოგიური ციკლი.

ტექნოლოგიური ციკლის შედეგად მიღებული მასალების მატერიალური ბალანსი შემდეგია:

- გადამუშავებული ზეთი – 75 – 85 %;
- მსუბუქი ფრაქციის ნავთობპროდუქტები - 1 – 3 %;
- დიზელის ფრაქცია - 1 – 3 %;
- ბიტუმი - 8 – 12 %;
- წყალი - 5 – 6 %.

ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყლის რაოდენობა შეადგენს 100 ტ/წელ.

ნახაზი 3.1. უსაფრთხოების აუზების მოედნის გეგმა



3.1 ტექნოლოგიური სქემა

საქმიანობა მიზნად ისახავს ინდუსტრიული ზეთის მეორად გადამუშავებას. ტექნოლოგიური პროცესისათვის საჭირო ძირითადი ნედლეული ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება რეგიონში მოქმედი სხვადასხვა საწარმოებიდან და ობიექტებიდან, ხელშეკრულებების საფუძველზე.

ინდუსტრიული ზეთი, რომელიც პროექტის მთავარი საგანია, არის ნივთიერება, რომელიც ოთახის ტემპერატურაზე ხასიათდება მაღალი სიბლანტით, შეიცავს მაღალი რაოდენობით ნახშირჟანგს და წყალბადს, არ ერევა წყალს, მაგრამ მარტივად ერევა სხვა ზეთებში. ზეთები ნარჩენი ზეთი არის სამრეწველო ან არა სამრეწველო სფეროში, ძირითადად დაზეთვის მიზნით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოყენებული ნებისმიერი ზეთის ან სინთეზური ზეთის ქიმიური და ფიზიკური მინარევებისაგან დაბინძურების შედეგად წარმოქმნილი ზეთი, რომელსაც დაკარგული აქვს თავდაპირველი მახასიათებლები. ნარჩენი ზეთი განიმარტება, როგორც გამოყენებული სამანქანო და სამრეწველო ზეთი.

საწარმოში ზეთის გადამუშავება განხორციელდება ქიმიური პროცესით (კატალიზატორი) და ვაკუუმის ქვეშ გაწმენდის (დისტილაცია) მეთოდით. ამ მეთოდის შერჩევის მიზეზი არის ის, რომ ხდება სუფთა პროდუქტის შენარჩუნება, არასასურველი მინერალების მოშორება და გარემოს ნაკლები დაბინძურება.

3.2 ტექნოლოგიური პროცესების აღწერა

ტექნოლოგიური ციკლის საწყის ეტაპზე ნარჩენი ზეთის ნიმუშს სერტიფიცირებული დანადგარებით ადგილზე უტარდება ანალიზი. რომლის მახასიათებლებიც შეესაბამება გადამუშავებას (როდესაც მისი PH, მყისი აალების წერტილი და აალების წერტილი ემთხვევა ობიექტის მოთხოვნებს) ხდება მათი ტერიტორიაზე შემოტანა და ზეთის მიმღებ რეზერვუარში განთავსება.

ნარჩენი ზეთის შესანახი რეზერვუარები: ნარჩენი ზეთის შესანახი რეზერვუარები იქნება წითელი ფერის, ექნება წარწერა „ნარჩენი ზეთი“ და განთავსებული იქნება სადგომებზე.

სხვადასხვა კატეგორიის ზეთები ინახება კატეგორიის შესაბამისად. რეზერვუარში ჩატვირთვისას მიიღება საჭირო ზომები იმისათვის, რომ არ მოხდეს მათი ზედმეტად ავსება.

სარეზერვუარო პარკის ძირი და შემოზღუდვა მოეწყობა არმირებული ბეტონით, რაც უზრუნველყოფს საიმედო ჰიდროიზოლაციას. სარეზერვუარო პარკის შემოზღუდვის შიგნით შექმნილი იქნება უსაფრთხოების ავზი, რომლის მოცულობა შეადგენს 38 მ³-ს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ყველაზე დიდი რეზერვუარის ტევადობას. სარეზერვუარო პარკის სიგრძე შეადგენს 14.32 მ-ს, ზოლო სიგანე იქნება 6.62 მ. შემოზღუდვის სიმაღლე იქნება 0.4 მ.

ქიმიური პროცესი: ქიმიური პროცესი წარმოებს ტუტე რეაქციის კატალიზატორების საშუალებით. კატალიზატორი ნარჩენი ზეთიდან ახდენს ქლორირებული ნაერთების, რკინის შემცველი ნაერთების, მჟავების და სხვა მინარევების მოცილებას. კატალიზატორის წყალთან შერევის შემდეგ მიეწოდება მიქსერ ავზს, სადაც ხდება კატალიზატორის შერევა ნარჩენ ზეთთან. ამ პროცესში ნარჩენ ზეთს ემატება 5% კატალიზატორი და 5% წყალი.

რეაქტორი: რეაქტორი შედგება საქვებისაგან და გამოსახდელი სვეტისაგან. რეაქტორის დანიშნულებაა გადასამუშავებელი ზეთის თხევადი მდგომარეობიდან აირად მდგომარეობაში გადაყვანა, რაც ხორციელდება საქვებში ბუნებრივი აირის წვის პროცესში ცხელდება დიათერმული ზეთი, რომელიც მიეწოდება გამოსახდელ სვეტში და აცხელებს გადასამუშავებელ ზეთს, რომელიც გარკვეულ ტემპერატურაზე იწყებს აორთქლებას. გადასამუშავებელი ზეთის აორთქლება ხდება ვაკუუმის პირობებში, საქვებისაგან იზოლირებულად. აორთქლება გადასამუშავებელი ზეთის ტემპერატურის მიხედვით ხდება ფრაქციებად. რეაქტორის მოცულობა შეადგენს 13 000 ლიტრს.

თბოგადამცემი: თბოგადამცემი არის რეაქტორის შემადგენელი კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს საქვებში გაცხელებული დიათერმული ზეთის საშუალებით გადასამუშავებელი ზეთის გაცხელებას. რეაქტორი დიათერმული და გადასამუშავებელი ზეთები ცირკულირებს ერთმანეთისაგან იზოლირებულად ისე, რომ მათი შერევა არ ხდება.

გადამცემები: გადამცემები გამოიყენება სისტემაში წარმოქმნილი ზეთის ორთქლში არსებული წყლისა და ზეთის თანმიმდევრულად კონდენსირებისათვის. ორთქლის კონდენსირება წარმოებს ორთქლის გაგრილებდით, რაც ხორციელდება გამაცივებელი სისტემის საშუალებით, კერძოდ: თბოგადამცემების ირგვლივ ცირკულირებს შხეფსაცივარში გაგრილებული წყალი.

დისტილატის ავზები: ავზები განკუთვნილია გადამცემებში წარმოქმნილი წყლის და სხვა პროდუქტების შეგროვებისათვის. რეაქტორი აღჭურვილია 4 ავზით. პირველი ავზი განკუთვნილია კონდენსირებული წყლისა აქროლადი ნახშირწყალბადების შესაგროვებლად, მეორე ავზში ხდება გაზოლინისა და დიზელის შესაგროვებლად, ხოლო მე-3 და მე-4 ავზი სასაქონლო ზეთების შესაგროვებლად.

ჰუკის ავზი და გამწოვი ერთეული: დისტილაციის პროცესში წარმოქმნილი აქროლადი ნაერთები, რომელთა კონდენსირება არ ხდება ვაკუუმური ტუმბოს საშუალებით გაიწოვება და გადადის ე.წ. „ჰუკი“-ს ავზში, რომელშიდაც განთავსებულია წყალი. აქროლადი ნაერთების წყალთან შერევის შედეგად ატმოსფეროში არ ხდება მავნე ნივთიერებების გაფრქვევა.

შემრევი ავზი: დისტილატის ავზებში დაგროვილი ზეთებს გამჭირვალობის მისაცემად და მასში არსებული მყარი სხეულების მოსაცილებლად შემრევ ავზებში უმატებენ კირის ფქვილს 1 ტ ზეთზე გადანგარიშებით 50 კგ-ის რაოდენობით. კირის შემოტანა მოხდება 25 კგ-ის წონის ტომრებით. საწარმოში განთავსებული იქნება 1 ასეთი ავზი. საწარმოს წარმადობიდან გამომდინარე (4125 ტ) წლის განმავლობაში საჭირო იქნება 206 ტონა კირის ფქვილი.


იმ შემთხვევაში თუ ზეთის დისტილატში მაღალი იქნება წყლის შემცველობა, მის მოსაცილებლად გამოიყენება თიხა, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული იქნება გუმბრინის თიხა 0.5 %-ის ოდენობით. თიხის მოსაცილებლად გამოიყენება ერთი ცალი ფილტრ-პრესი. ნარჩენი ზეთის შესანახ რეზერვუარში შენახული ზეთი ტუმბოს საშუალებით გადაიტანება მკვებავ რეზერვუარში. რეზერვუარების ქვემოთ მოთავსებული სარქველით ნარჩენ ზეთში არსებული წყალი გადაეცემა ნარჩენი წყლის გადამამუშავებელ ობიექტს. ეს რეზერვუარები ტუმბოს საშუალებით რეაქტორს აწვდიან ნარჩენ ზეთს. იმ შემთხვევაში თუ საწარმოში დამუშავებული ზეთის მთლიანი მოცულობა იქნება დაბინძურებული წყლით, გამოყენებული თიხის მთლიანი რაოდენობა იქნება 21 ტონა, რაც ნაკლებად სავარაუდოა და საჭირო იქნება ბევრად ნაკლები თიხის გამოყენება.

რეაქტორზე ნარჩენი ზეთი 20°C-დან 280-320°C-მდე ცხელდება ვაკუუმის პირობებში. ეს პროცესი საშუალოდ 6 საათს გრძელდება. რეაქტორში პროცესის ხანგრძლივობა და ტემპერატურა იცვლება ნარჩენი ზეთის მახასიათებლების მიხედვით. რეაქტორში ტემპერატურის მომატებით ნარჩენ ზეთში მიმდინარეობს აორთქლების პროცესი. აორთქლებული სითხეები მიდის გადამცემთან. პირველ რიგში 20-120°C-ზე, ზეთში დარჩენილი წყალი ორთქლდება და მოდის გადამცემთან. აქ ის გასაგრილებელი წყლის საშუალებით კონდენსირდება და დესტილაციის რეზერვუარში (#1 დესტილაციის ტანკერი) ჩადის. 120-380°C ტემპერატურებს შორის ხდება ზეთის აორთქლება. აორთქლებული ზეთი გადამცემში კონდენსირდება და მე-3 და მე-4 დისტილატის რეზერვუარში ჩაედინება. თერმული დამუშავების დასრულების შემდეგ რეაქტორში რჩება ნარჩენი-ბიტუმი, რომელიც დროებით ინახება ამისათვის გამოყოფილ რეზერვუარში და უკეთდება რეალიზაცია ასფალტის წარმოებაში გამოყენების მიზნით.

პირველ რეზერვუარში მოთავსებული წყალი, დაგროვების შესაბამისად შემდგომი მართვისათვის გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას (შპს „სანიტარი“). მე-2 დისტილატის რეზერვუარში მოგროვებული მსუბუქი ფრაქციის ნავთობპროდუქტები და დიზელი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიტუმის ხარისხის გასაუმჯობესებლად. საპროექტო საწარმოში მსუბუქი ფრაქციის გამოყენება დაგეგმილია ბიტუმში შესარევად, რომ უზრუნველყოფილი იქნას მისი სასაქონლო სახის მიღება.

მე-3 და მე-4 რეზერვუარებში მოგროვებული ზეთები იტუმბება მიქსერ რეზერვუარში. ის აირები, რომელთა კონდენსირებაც არ ხდება რეზერვუარში, ვაკუუმის ტუმბოს საშუალებით მიეწოდება „ჰუკა“-ს რეზერვუარს. „ჰუკა“-ს რეზერვუარში გადასული აირები ერევა აქ არსებულ წყალს და ამგვარად წყალი მათ აკავებს. აქ არსებული წყალი გარკვეული პერიოდულობით იცვლება და ტერიტორიიდან გატანამდე ინახება დაბინძურებული წყლის რეზერვუარში.

მიქსერ რეზერვუარში შემოსული ზეთი, ცხელი ზეთის არხის საშუალებით ერთი საათით თბება 80°C-მდე და გათბობის პროცესში მასში იყრება მათეთრებელი კირი. აქ ჩასაყრელი კირის რაოდენობა განისაზღვრება ლაბორატორიაში ზეთის ნიმუშზე ჩატარებული ცდების შედეგად. მიქსერ რეზერვუარის მიზანი არის კირის საშუალებით ზეთში არსებული მყარი სხეულების, ნაწილაკების მოშორება და ზეთისათვის გამჭირვალობის მიცემა. განსაზღვრულ რაოდენობის კირი და შერეული ზეთი მიქსერ რეზერვუარში ირევა 10 წუთის განმავლობაში. შერევის პროცესის დასრულების შემდეგ ნარევი 50 წუთით უნდა გაჩერდეს. უფრო მოგვიანებით მიქსერ რეზერვუარში არსებული სარქველით ზეთი გადადის ფილტრ-პრესში. მიღებული ზეთის შემდეგ მიქსერ რეზერვუარში რჩება კირი. რეზერვუარში დაგროვილი კირის მოცილება ხდება 15-20 დღეში ერთხელ და თავსდება ბიტუმის რეზერვუარში.

ნახაზი 3.2.2 ტექნოლოგიური ხაზი**3.3 საწარმოს წყალმომარაგება**

საწარმოში წყალი გამოყენებული იქნება როგორც სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ასევე ტექნოლოგიურ ციკლში საწარმოო მიზნით (ბრუნვითი გაგრილების სისტემისთვის და ზეთების გადამუშავების პროცესში). წყალმომარაგება განხორციელდება ქ. რუსთავის წყალმომარაგების ქსელიდან.

ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, ტექნოლოგიურ ციკლში გამოსაყენებელი საწარმოო წყლების ხარჯი შეადგენს 100 მ³/წელ. ტექნოლოგიურ ციკლში გამოსაყენებელი წყლის აღება ხდება ქალაქის წყალსადენის ქსელიდან.

საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები ჩართული იქნება ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში.

რაც შეეხება საწარმოო ჩამდინარე წყლებს მათი შეგროვებისათვის გათვალისწინებულია 10 3 ტევადობის დაბინძურებული წყლის რეზერვუარის მოწყობა, საიდანაც შემდგომი მართვისათვის გატანილი იქნება კონტრაქტორი კომპანიის მიერ (კონტრაქტორ კომპანიად განიხილება შპს „სანიტარი“).

საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების პირობებიდან გამომდინარე, სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის, კერძოდ: ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარები განლაგებულია დახურულ შენობაში, საიდანაც ავარიული ინციდენტის შემთხვევაში ზეთის ტერიტორიაზე გავრცელების რისკი პრაქტიკულად გამორიცხულია. როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, სარეზერვუარო პარკის ტერიტორიის ძირი და შემოზღუდვა მოწყობილი იქნება ბეტონის საფარით. შემოზღუდული სარეზერვუარო პარკის მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება რეზერვუარში არსებული ყველა დიდი რეზერვუარის ტევადობა და გამომდინარე აქედან ავარიული დაღვრის შემთხვევაში დაბინძურების ტერიტორიის გარეთ გავრცელება მოსალოდნელი არ არის.

4 ინფორმაცია საქმიანობის განსახორციელებელი ადგილის შესახებ - გარემოს ფონური მდგომარეობა და შესაძლო ზემოქმედების სახეების აღწერა

შპს „ეკო ოილის“ მეორადი ზეთების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ არის დაკავშირებული წარმადობის, ტექნოლოგიური პროცესების, ტექნოლოგიური დანადგარების რაოდენობის და განთავსების ლოკაციების ცვლილებასთან. ასევე არ იცვლება საწარმოს განთავსებისთვის საჭირო ტერიტორიის ფართობი.

საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება უკავშირდება ახლად გამოვლენილ გარემოებას, რომლის მიხედვით შეცვლილია საწარმოსა და უახლოეს რეცეპტორს შორის მანძილი და ნაცვლად 470 მეტრისა შეადგენს 200 მეტრს. შესაბამისად, საწარმოს მოწყობით და ექსპლუატაციით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების შეფასება განხორციელდა ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით.

არც თავდაპირველი პროექტით და არც ექსპლუატაციის ცვლილების პირობებში, ნიადაგზე, ზედაპირული წყლის ობიექტებზე და ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება

რაც შეეხება ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების სახეებს და მასშტაბებს, იქიდან გამომდინარე, რომ უცვლელია საწარმოს წარმადობა, ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული კატალიზატორების და კირის რაოდენობა, ასევე მიღებული პროდუქციის რაოდენობა და მოცულობები, ნარჩენების რაოდენობის და სახეობების ცვლილებას ადგილი არ ექნება.

4.1 ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

შპს „ეკო ოილის“ ზეთის გადამამუშავებელი საწარმოს გზშ-ს ანგარიში მომზადდა 2018 წელს. გზშ-ს ანგარიშის მომზადების ეტაპზე საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობდა 470 მეტრში, დღეის მდგომარეობით, ამ მხრივ ფაქტობრივი სიტუაცია შეცვლილია და საწარმოდან 200 მ მანძილზე მდებარეობს შენობა-ნაგებობა, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, შესაბამისად, საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ემისიების გავრცელების სიდიდეები გადაანგარიშებული იქნა 200 მეტრზე.

გაანგარიშებები შესრულებულია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საწყისი ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ:

- მატერიალური ბალანსი
- ნამუშევარი ზეთის წლიური რ-ბა-4125 ტ.
- მიღებული პროდუქტის წლიური რ-ბა-3300 ტ.
- კატალიზატორი -206 ტ.
- 2*30 მ³ რეზერვუარი ნამუშევარი ზეთებისათვის
- 2*28 მ³ რეზერვუარი პროდუქციისათვის
- 1*10 მ³ რეზერვუარი მსუბუქი ფრაქციის ნახშირწყალბადებისათვის (დიზელის ფრაქცია)
- 1*10 მ³ რეზერვუარი ნამუშევარი წყალისათვის
- სისტემაში გამოყენებული ტუმბოები: ნამუშევარი ზეთებისათვის და პროდუქციისათვის 15 მ³/სთ, მსუბუქი ფრაქციის ნახშირწყალბადებისათვის (დიზელის ფრაქცია)-1მ³/სთ, მძიმე ფრაქციის ნახშირწყალბადებისათვის(ბითუმი) -6მ³/სთ.
- საქვებში გამოიყენება ბუნებრივი გაზი-162 მ³/სთ. საკვამლე მილის სიმაღლე-13 მ, დიამეტრი 0,45 მ.
- ტექნოლოგიის მუშა ციკლი 10 სთ (დღეში 2 ციკლი) . 1 ციკლში მუშავდება 7 ტ. ნამუშევარი ზეთი. წლიური დროის ფონდი 6072 სთ/წელ.(4250/0,7).

4.1.1 ემისიის გაანგარიშება საქვებიდან (გ-1)

საწარმოში დამონტაჟდება 1 ერთეული ქვაბი საათური ხარჯით 0,162 ათ.მ³. ემისიის მახასიათებლები დაანგარიშებულია [7]-ს დანართი 107-ის კოეფიციენტებით (აზოტის დიოქსიდი-0,0036; ნახშირბადის ოქსიდი-0,0089; ნახშირორჟანგი-2,0).

წამური ემისია:

აზოტის დიოქსიდი $0,0036 \cdot 10^6 \cdot 0,162 \text{ ათ.მ}^3 / 3600 = 0,162 \text{ გ/წმ}$;
 ნახშირბადის ოქსიდი $0,0089 \cdot 10^6 \cdot 0,162 \text{ ათ.მ}^3 / 3600 = 0,4 \text{ გ/წმ}$;
 ნახშირბადის დიოქსიდი $2,0 \cdot 10^6 \cdot 0,162 \text{ ათ.მ}^3 / 3600 = 90 \text{ გ/წმ}$;

წლიური ემისია:

აზოტის დიოქსიდი $-0,162 \text{ გ/წმ} \cdot 3600\text{წმ} \cdot 24 \text{ სთ/დღ} \cdot 253 \text{ დღ/წელ} / 10^6 = 3,541 \text{ ტ/წელ}$;
 ნახშირბადის ოქსიდი $-0,4 \text{ გ/წმ} \cdot 3600\text{წმ} \cdot 24 \text{ სთ/დღ} \cdot 253 \text{ დღ/წელ} / 10^6 = 8,743 \text{ ტ/წელ}$
 ნახშირბადის დიოქსიდი $90 \text{ გ/წმ} \cdot 3600\text{წმ} \cdot 24 \text{ სთ/დღ} \cdot 253 \text{ დღ/წელ} / 10^6 = 1967 \text{ ტ/წელ}$;

ნამწვი აირების მოცულობა [6] იანგარიშება ფორმულით:

საშუალო წამური ხარჯი (მ³/წმ) იქნება: $162 \text{ მ}^3/\text{სთ} \cdot 12,9 \text{ მ}^3/\text{მ}^3 \cdot 1,5/3600 = 0,87 \text{ მ}^3/\text{წმ}$
 $D = 0,45 \text{ მ.}; W_o = 0,87 / [0,785 \cdot (0,45)^2] = 5,51 \text{ მ/წმ}$.

4.1.2 ემისიის გაანგარიშება ნამუშევარი ზეთების მიღებისას (გ-2)

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშება შესრულებულია [9]-ეს შესაბამისად. დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 4.1.2.1.

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ერთჯერადი ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2754	ალკანები (ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19)	0.001625	0.0011771

საწყისი მონაცემები გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 4.1.2.2.

ცხრილი 4.1.2.2.

პროდუქტი	რაოდენობა, ტ/წელ		რეზერვუარის კონსტრუქცია და ექსპლუატაციის რეჟიმი	ტუმბოს წარმადობა, მ ³ /სთ	რეზერვუარის მოცულობა, მ ³	რეზერვუარების რ-ბა
	B _{შხ}	B _{გზ}				
ზეთი ინდუსტრიული ჯგ. A. სითხის ტემპერატურა ახლოსაა ჰაერის ტემპერატურასთან	2062,5	2062,5	მიწისზედა ვერტიკალური. ექსპლუატაციის რეჟიმი - "საწყევო". ემისიის შემზღუდავი სისტემა-არ არის.	15	30	2

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ.

ნავთობპროდუქტების ორთქლის მაქსიმალური ემისია გაიანგარიშება ფორმულით:

$$M = (C_f \cdot K_{p}^{\max} \cdot V_{g}^{\max}) / 3600, \text{ გ/წმ};$$

ნავთობპროდუქტების ორთქლის წლიური ემისია გაიანგარიშება ფორმულით:

$$G = (Y_2 \cdot B_{os} + Y_3 \cdot B_{bl}) \cdot K_{p}^{\max} \cdot 10^{-6} + G_{xp} \cdot K_{HH} \cdot N, \text{ ტ/წელ}.$$

სადაც: Y_2, Y_3 -საშუალო კუთრი ემისია რეზერვუარიდან შესაბამისად წლის განმავლობაში შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებისათვის, გ/ტ. მიიღება დანართი 12-ის მიხედვით.

B_{ox}, B_{BT} - სითხის რ-ბა, რომელიც ჩაიტვირთება რეზერვუარში შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებისათვის, ტ.

K_p^{max} - ცდით მიღებული კოეფიციენტი, მიიღება დანართ 8-ს მიხედვით.

G_{xp} - ნავთობპროდუქტების ორთქლის ემისია ერთ რეზერვუარში შენახვისას, ტ/წელ; მიიღება დანართ 13-ის მიხედვით.

K_{HT} - ცდით მიღებული კოეფიციენტი, მიიღება დანართ 12-ს მიხედვით.

N - რეზერვუარების რ-ბა. ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

ზეთი ინდუსტრიული

$$M = 0,39 \cdot 1 \cdot 15 / 3600 = 0,001625 \text{ გ/წმ};$$

$$G = (0,25 \cdot 20000 + 0,25 \cdot 20000) \cdot 0,8 \cdot 10^{-6} + 18,2 \cdot 0,00027 \cdot 1 = 0,012914 \text{ ტ/წელ};$$

2754 ალკანები (ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19)

$$M = 0,001625 = 0,001625 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0011771 = 0,0011771 \text{ ტ/წელ};$$

4.1.3 ემისიის გაანგარიშება მზა პროდუქციის მიღებისას (გ-3)

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშება შესრულებულია [9]-ეს შესაბამისად. დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 4.1.3.1.

ცხრილი 4.1.3.1.

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ერთჯერადი ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2754	ალკანები (ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19)	0.001625	0.0009708

საწყისი მონაცემები გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 4.1.3.2.

ცხრილი 4.1.3.2.

პროდუქტი	რაოდენობა, ტ/წელ		რეზერვუარის კონსტრუქცია და ექსპლუატაციის რეჟიმი	ტუმბოს წარმადობა, მ ³ /სთ	რეზერვუარის მოცულობა, მ ³	რეზერვუარების რ-ბა
	Воз	ВВЛ				
ზეთი ინდუსტრიული ჯგ. A. სითხის ტემპერატურა ახლოსაა ჰაერის ტემპერატურასთან	1650	1650	მიწისზედა ვერტიკალური. ექსპლუატაციის რეჟიმი - "საწყავი". ემისიის შემზღუდავი სისტემა-არ არის.	15	30	2

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ.

ნავთობპროდუქტების ორთქლის მაქსიმალური ემისია გაიანგარიშება ფორმულით:

$$M = (C_I \cdot K_p^{\max} \cdot V_g^{\max}) / 3600, \text{ გ/წმ};$$

ნავთობპროდუქტების ორთქლის წლიური ემისია გაიანგარიშება ფორმულით:

$$G = (Y_2 \cdot B_{os} + Y_3 \cdot B_{ht}) \cdot K_p^{\max} \cdot 10^{-6} + G_{xp} \cdot K_{ht} \cdot N, \text{ ტ/წელ.}$$

სადაც: Y_2, Y_3 –საშუალო კუთრი ემისია რეზერვუარიდან შესაბამისად წლის განმავლობაში შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებისათვის, გ/ტ. მიიღება დანართი 12-ის მიხედვით.

B_{os}, B_{ht} – სითხის რ-ბა, რომელიც ჩაიტვირთება რეზერვუარში შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებისათვის, ტ.

K_p^{\max} - ცდით მიღებული კოეფიციენტი, მიიღება დანართ 8-ს მიხედვით.

G_{xp} - ნავთობპროდუქტების ორთქლის ემისია ერთ რეზერვუარში შენახვისას, ტ/წელ; მიიღება დანართ 13-ის მიხედვით.

K_{ht} - ცდით მიღებული კოეფიციენტი, მიიღება დანართ 12-ს მიხედვით.

N - რეზერვუარების რ-ბა. ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

ზეთი ინდუსტრიული

$$M = 0,39 \cdot 1 \cdot 15 / 3600 = 0,001625 \text{ გ/წმ};$$

$$G = (0,25 \cdot 1650 + 0,25 \cdot 1650) \cdot 1 \cdot 10^{-6} + 0,27 \cdot 0,00027 \cdot 2 = 0,0009708 \text{ ტ/წელ};$$

2754 ალკანები (ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19)

$$M = 0,001625 = 0,001625 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0009708 = 0,0009708 \text{ ტ/წელ};$$

4.1.4 ემისიის გაანგარიშება შუალედური პროდუქტის დიზელის ფრაქციის მიღებისას (გ-4)

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენენ რეზერვუარის სასუნთქი სარქველი ნავთობპროდუქტის შენახვისას (მცირე სუნთქვა) და ჩატვირთვისას (დიდი სუნთქვა). კლიმატური ზონა-3.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშება შესრულებულია [9]-ს შესაბამისად. დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 4.1.4.1.

ცხრილი 4.1.4.1. დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ერთჯერადი ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
333	დიჰიდროსულფიდი (გოგირდწყალბადი)	0.0000061	0.0000035
2754	ნაჯერი ნახშირწყალბადები C ₁₂ -C ₁₉)	0.0021717	0.0012341

საწყისი მონაცემები გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 4.1.4.2.

ცხრილი 4.1.4.2. საწყისი მონაცემები გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია

პროდუქტი	რ-ბა წელიწადში, ტ/წელ		რეზერვუარის კონსტრუქცია	ტუმბოს წარმადობა, მ ³ /სთ	რეზერვუარის მოცულობა, მ ³	რეზერვუარების რ-ბა	ერთ დროულ ბა
	БშБ	БგБ					

პროდუქტი	რ-ბა წელიწადში, ტ/წელ		რეზერვუარის კონსტრუქცია	ტუმბოს წარმადობა, მ ³ /სთ	რეზერვუარის მოცულობა, მ ³	რეზერვუარების რ-ბა	ერთ დროულ ბა
	ბმზ	ბგზ					
დიზელის საწვავი. ჯგ. A. სითხის ტემპერატურა ახლოსაა ჰაერის ტემპერატურასთან	82,5	82,5	მიწისზედა ჰორიზონტალური. ექსპლოატაციის რეჟიმი - "საწვავი". ემისიის შემზღუდავი სისტემა-არ არის.	2	10	1	+

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ.

ნავთობპროდუქტების ორთქლის მაქსიმალური ემისია გაიანგარიშება ფორმულით:

$$M = (C1 \cdot K_{maxp} \cdot V_{maxч}) / 3600, \text{ გ/წმ};$$

ნავთობპროდუქტების ორთქლის წლიური ემისია გაიანგარიშება ფორმულით:

$$G = (Y2 \cdot B_{oz} + Y3 \cdot B_{вл}) \cdot K_{maxp} \cdot 10^{-6} + G_{xp} \cdot K_{нп} \cdot N, \text{ ტ/წელ}.$$

სადაც: $Y2, Y3$ –საშუალო კუთრი ემისია რეზერვუარიდან შესაბამისად წლის განმავლობაში შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებისათვის, გ/ტ. მიიღება დანართი 12-ის მიხედვით.

$B_{oz}, B_{вл}$ – სითხის რ-ბა, რომელიც ჩაიტვირთება რეზერვუარში შემოდგომა-ზამთრის და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებისათვის, ტ.

K_{maxp} - ცდით მიღებული კოეფიციენტი, მიიღება დანართ 8-ს მიხედვით.

G_{xp} - ნავთობპროდუქტების ორთქლის ემისია ერთ რეზერვუარში შენახვისას, ტ/წელ; მიიღება დანართ 13-ის მიხედვით.

$K_{нп}$ -ცდით მიღებული კოეფიციენტი, მიიღება დანართ 12-ს მიხედვით.

N - რეზერვუარების რ-ბა.

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

დიზელის საწვავი

$$M = 3,92 \cdot 1 \cdot 2 / 3600 = 0,0021778 \text{ გ/წმ};$$

$$G = (2,36 \cdot 82,5 + 3,15 \cdot 82,5) \cdot 1 \cdot 10^{-6} + 0,27 \cdot 0,0029 \cdot 1 = 0,0012376 \text{ ტ/წელ};$$

333 დიჰიდროსულფიდი (გოგირდწყალბადი)

$$M = 0,0021778 \cdot 0,0028 = 0,0000061 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0012376 \cdot 0,0028 = 0,0000035 \text{ ტ/წელ};$$

2754 ალკანები C12-C19 (ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19)

$$M = 0,0021778 \cdot 0,9972 = 0,0021717 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,0012376 \cdot 0,9972 = 0,0012341 \text{ ტ/წელ};$$

4.1.5 ემისიის გაანგარიშება შუალედური პროდუქტის ბითუმის ფრაქციის მიღებისას (გ-5)

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენენ რეზერვუარის სასუნთქი სარქველი. კლიმატური ზონა-3.დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშება

შესრულებულია [9]-ს შესაბამისად. დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 4.1.5.1.

ცხრილი 4.1.5.1.

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ერთჯერადი ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2754	ნაჯერი ნახშირწყალბადები C ₁₂ -C ₁₉	0.4138202	0.1024545

საწყისი მონაცემები გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 4.1.5.2.

ცხრილი 4.1.5.2.

პროდუქტი	რ-ბა წელიწადში, ტ/წელ	რეზერვუარში სითხის ტემპერატურა °C		რეზერვუარის კონსტრუქცია	ტუმბოს წარმადობა, მ ³ /სთ	რეზერვუარის მოცულობა, მ ³	რეზერვუარის რ-ბა	ბრუნვადობა
		მინ	მაქს					
ბითუმი საგზაო. სითხის ტემპერატურა მეტია ჰაერის ტემპერატურაზე	412,5	90	110	მიწისზედა ჰორიზონტალური. ექსპლოატაციის რეჟიმი - "საწყავი". ემისიის შემზღუდავი სისტემა-არ არის.	6	10	1	2

პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ.

სითხის ნაჯერი ორთქლის წნევა მოცემულ ტემპერატურაზე განისაზღვრება ანტუანის განტოლებით:

$P_t = 10^{A-B/(C+t)}$, მმ. ვერცხ. სვ. სადაც, A, B, C კონსტანტებია, რომლებიც დამოკიდებულია სითხის შემადგენლობაზე

ნავთობპროდუქტების ორთქლის მაქსიმალური ემისია გაიანგარიშება ფორმულით:

